ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15232373**

თარიღი:**25/08/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში, ჭავჭავაძის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 4825.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.33.21.294) 157,8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი სერვიტუტის უფლებით დატვირთვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, დაბა ჩაქვში, ჭავჭავაძის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 4825,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 05.33.21.294) 157,8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს ,,ნექსთ გრინ“-ის (ს/ნ 445547506) საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.33.21.772) სასარგებლოდ 05 წლის ვადით სასყიდლიანი სერვიტუტის უფლებით დატვირთვის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების სერვიტუტის უფლებით სარგებლობის საფასური განისაზღვროს წელიწადში 1900 (ერთი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება შპს ,,ნექსთ გრინ“-ის (ს/ნ 445547506) საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.33.21.772) სასარგებლოდ (გზის დანიშნულებით) სასყიდლიანი სერვიტუტის უფლებით დაიტვირთოს იმ პირობით, რომ იგი არ მოახდენს სერვიტუტის უფლებით დატვირთული უძრავი ქონების შემოსაზღვრას და არ შეზღუდავს მასზე, როგორც ქვეითად მოსიარულეთა, ასევე სხვისი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას; შპს ,,ნექსთ გრინ“-ი უსასყიდლოდ განახორციელებს უძრავი ქონების - გზის ნაწილის და მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებას და კეთილმოწყობას.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი